ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვა არასრულწლოვანთა მართლმსჯულებაში: გამოცდილება და საჭიროებები

თინათინ გიგუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ გიგუაშვილი

20.06.2026 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომლის ფარგლებშიც სამართალდამრღვევი მოზარდების ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის შესწავლა განხორციელდა. კვლევის ფოკუსი განრიდება-მედიაციის პროგრამის აღსრულების პროცესში ჩართული უწყების – სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციონირების შესწავლა იყო. კვლევაში ძირითადი აქცენტი სააგენტოს ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის მიმართულებით გაკეთდა.

განხორციელდა საერთაშორისო და ქართულ სივრცეში ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის თაობაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი, რაც აღნიშნული კვლევის ძირითად ორიენტირებს დაედო საფუძვლად. კერძოდ, შეირჩა თვისებრივი კვლევის დიზაინი და საკვლევ ინსტრუმენტად სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი შემუშავდა, რომლის მეშვეობით სააგენტოში დასაქმებული სპეციალისტების ინტერვიურება განხორციელდა. მოპოვებული ინფორმაცია თემატური ანალიზის შესაბამისად დამუშავდა.

კვლევაში სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის პრაქტიკა არის გადმოცემული. კერძოდ, წარმოდგენილია თუ როგორ მოიაზრებენ სპეციალისტები ტრავმული გამოცდილების მქონე მოზარდებთან კომუნიკაციას, როგორია მათი აქცენტები, როგორ უმკლავდებიან თავად პროფესიონალები აღნიშნულ პროცესს და რას მოიაზრებენ სამუშაო გარემოსა და მომსახურების გაუმჯობესების აუცილებელ პირობად.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მიღებული შედეგები და მიგნებები არის წარმოდგენილი. ასევე საუბარია რეალური მოცემულობის საფუძვლად მდებარე ფაქტორების მნიშვნელოვნებაზე. დასასრულს აღწერილია კვლევის ლიმიტები და გამოთქმულია მოსაზრებები მომავალ კვლევით პერსპექტივებთან დაკავშირებით. რეკომენდაციები ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვის სამომავლო ხედვასა და აღნიშნული ხედვის განვითარებაზეა ორიენტირებული.

Abstract

This scientific paper presents a study that explores trauma-informed care for juvenile offenders. The research focused on examining the functioning of the LEPL Crime Prevention, Non-Custodial Sentences Enforcement and Probation National Agency, particularly within the framework of the diversion-mediation program. The main emphasis of the study was placed on the agency's trauma-informed care practices.

As part of the research process, an analysis of the existing international and Georgian literature on trauma-informed care was conducted. This served as the foundation for the main research orientations. In particular, a qualitative research design was selected, and an in-depth interview guide was developed as the primary research instrument. Through this instrument, interviews were conducted with specialists employed by the agency. The collected data was processed and analyzed in accordance with thematic analysis.

The study presents the trauma-informed care practices of social workers and psychologists. Specifically, it explores how professionals conceptualize communication with adolescents who have traumatic experiences, what aspects they prioritize, how they themselves cope with this process, and what they consider to be essential conditions for improving the working environment and service delivery.

The concluding part of the paper presents the results and findings of the study. It also discusses the significance of the factors underlying the existing reality. Finally, the study outlines its limitations and offers reflections on future research perspectives. The recommendations are oriented toward strengthening trauma-informed approaches and supporting the further development of this perspective.

საკვანძო სიტყვები: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, განრიდება-მედიაციის, პროგრამა, ფსიქოლოგიური ტრავმა, ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვა.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის აკადემიურ წარმომადგენლებს, იმისათვის რომ ამ კვლევის ჩატარების შესაძლებლობა მომეცა. დიდი მადლობა კვლევით ხელმძღვანელს პროფესორ დარეჯან ჯავახიშვილს.

მადლობა ჩემს ყველა კოლეგას, რომელმაც ინტერვიურებაში მიღო მონაწილეობა. მადლობა პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისტს თამარს თანადგომისათვის. მადლობა ჩემს კოლეგებს ქეთევანს და ნანას ტექნიკური დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს მეგობარს მარტას, ნაშრომზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ემოციური და ინტელექტუალური მხარდაჭერისათვის.